ავტობიოგრაფია

მე, თორნიკე ქოჩქიანი, დავიბადე 1992 წლის 17 დეკემბერს, გულრიფშში.

1998 - 2008 წლებში ვსწავლობდი კოდორის ხეობაში (ზემო აფხაზეთი), ჯერ ომარიშარის საჯარო სკოლაში, შემდეგ - გენწვიშის საჯარო სკოლაში, ხოლო 2008 წლიდან ვსწავლობდი ქ. თბილისის 29-ე საჯარო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 2010 წელს.

2010 - 2014 წლებში ვსწავლობდი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე და მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2016 - 2018 წლებში ვსწავლობდი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე და მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2014 - 2015 წლებში დავინიშნე სტაჟიორად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

2015 - 2016 წლებში ვიკავებდი თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტის დროებითი შემცვლელის პოზიციას.

2016 - 2017 წლებში დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2017 - 2018 წლებში დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს სხდომის მდივნის - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2018 - 2019 წლებში დაკისრებული მქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ფუნქციები, რის შემდეგაც დავინიშნე ამავე თანამდებობაზე.

2019 - 2023 წლებში ვიკავებდი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს მოსამართლის (თავმჯდომარის) თანაშემწის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობას.

2023 წელს დაკისრებული მქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს უფროსის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქციები.

2023 წელს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2023 - 2025 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე იუსტიციის მსმენელთა სრული სასწავლო კურსი.

2017 - 2023 წლებში ვიყავი საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნოს წევრი, ხოლო 2020 წლიდან, ასევე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

უნივერისტეტში სწავლის პარალელურად ვმონაწილეობდი საერთაშორისო კონფერენციებში, ტრენინგებსა და სემინარებში, ხოლო სასამართლოში მუშაობისას, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გავიარე როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის, ისე სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული არაერთი ტრენინგი და სემინარი.

თორნიკე ქოჩქიანი